

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სამშენებლო ფაკულტეტის საბჭოს სხდომის

ოქმი № 5

5.07.2019 წ.

2019 წლის 5 ივლისს შედგა სამშენებლო ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

ფაკულტეტის საბჭოს სხდომას 215 წევრიდან დაესწრო 164 წევრი

(დასწრების სია თან ერთვის ოქმს)

დ დ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. ინფორმაცია საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს შექმნის შესახებ. მომხსენებელი, პროფესორი დემურ ტაბატაძე;
2. სადოქტორო პროგრამებზე 2019-2020 სასწავლო წლის მისაღები სტუდენტების კონტიგენტის დამტკიცების შესახებ. მომხსენებელი, პროფესორი დემურ ტაბატაძე;
3. დოქტორანტურაში მისაღები საფაკულტეტო დროებითი კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ. მომხსენებელი, პროფესორი დემურ ტაბატაძე;
4. სასწავლო კორპუსის შემოსასვლელი ჰოლის დიზაინის განხილვა და ინფორმაცია სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ. მომხსენებელი, პროფესორი გინა გურეშიძე;
5. მიმდინარე საკითხები.

1. მოისმინეს: პროფესორ დემურ ტაბატაძის ინფორმაცია სადისერტაციო საბჭოს შექმნის და სადოქტორო პროგრამებზე 2019-2020 სასწავლო წლის მისაღები სტუდენტების კონტიგენტის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელმა საბჭოს გააცნო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულება: „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულების თანახმად (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 9 მარტის №01-05-04/44 დადგენილებით) მუხლი 7-პარაგრაფი: აკადემიური დეპარტამენტის უფროსი დეკანატში წარადგენს მოთხოვნას სადოქტორო პროგრამების მიხედვით ვაკანტური ადგილების გამოყოფის შესახებ; ფაკულტეტის დეკანი აკადემიური დეპარტამენტების მიერ წარმოდგენილი ვაკანტური ადგილების გამოყოფის შესახებ მოთხოვნებს და საფაკულტეტო დროებითი კომისიების შემადგენლობის (5-7 წევრი) პროექტს განიხილავს ფაკულტეტის საბჭოზე. საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე დეკანი სწავლების დეპარტამენტში წარადგენს ფაკულტეტის საბჭოს ოქმს და მოხსენებით ბარათს ვაკანტური ადგილების გამოყოფისა

და საფაკულტეტო დროებითი კომისიის/კომისიების შემადგენლობის დამტკიცების თხოვნით;

დეპარტამენტის უფროსების წარდგინებით სადოქტორო პროგრამებზე: " მშენებლობა", " წყლის ინჟინერია" (ქართული და ინგლისური), სამხედრო ინჟინერია", "საგზაო ინფრასტრუქტურა და მიწისქვეშა ხელოვნური ნაგებობები," გამოიყო შემდეგი ადგილები:

" მშენებლობა", - 25 , " წყლის ინჟინერია" (ქართული და ინგლისური) 3+3=6,

"სამხედრო ინჟინერია" -2, "საგზაო ინფრასტრუქტურა და მიწისქვეშა ხელოვნური ნაგებობები" - 5.

საფაკულტეტო დროებითი კომისია წარმოდგენილია შემდეგი შემადგენლობით:

პროფესორი როინ იმედაძე (თავმჯდომარე);

პროფესორი ლია კახიანი (წევრი);

პროფესორი დავით გორგიძე (წევრი);

პროფესორი არჩილ ჩიქოვანი (წევრი);

პროფესორი ნუგზარ რურუა (წევრი);

პროფესორი ალექსანდრე ბაგრატიონ-დავითაშვილი (წევრი);

პროფესორი დენური ტაბატაძე (მდივანი).

3. .ფაკულტეტის წარდგინება საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოების შედგენის წესისა და თავმჯდომარის არჩევის შესახებ.

1. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო უნდა შედგებოდეს 15-25 წევრისაგან, აქედან 1/3 სასურველია იყოს მოწვეული წევრი. იმ შემთხვევაში თუ საბჭო წარმოდგენილია ერთი სადოქტორო პროგრამით, საბჭოს წევრთა რაოდენობა განისაზღვროს 15-დან 20-მდე, ხოლო 2 და მეტი პროგრამის შემთხვევაში 25-30 წევრით.

2. ორი და მეტი პროგრამის შემთხვევაში თითოეული პროგრამიდან საბჭოში წევრთა რაოდენობა განისაზღვროს აკადემიური საბჭოს მიერ დოქტორანტებისა და დაცული დისერტაციების შესახებ სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე, დოქტორანტურის დეპარტამენტის წარდგინებით (ფაკულტეტის საბჭოების წარდგენის საფუძველზე).

3. საბჭოს წევრობის კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა)დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

ბ)პუბლიკაციები რეიტინგულ რეფერირებად ჟურნალებში და საერთაშორისო გამოცემებში; რეცენზირებული გამოქვეყნებული მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები, საბჭოს თემატიკის მიხედვით; პატენტები, დანერგვები, საერთაშორისო და ადგილობრივი პროექტები,მათ შორის სხვადასხვა გრანტებში მონაწილეობა:

გ)სადისერტაციო საბჭოში შემავალი პროგრამის/პროგრამების შესაბამისი თემატიკით გამოშვებული დოქტორანტები;

დ).სამეცნიერო აკადემიების წევრობა; სახელმწიფო ჯილდოები ან/და სახელმწიფო და სხვა პრემიების ლაურეატობა;

ე).სადისერტაციო საბჭოში წარმოდგენილ სპეციალობაში საექსპერტო საქმიანობა

კანდიდატის ხელმძღვანელობით დაცული დისერტაციები.

4. საუნივერსიტეტო საბჭოს შექმნის ინიცირება შეიძლება მოხდეს აკადემიური საბჭოს, ფაკულტეტის საბჭოს, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის საბჭოს მიერ, პროგრამის ხელმძღვანელის მიერ, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ დასაბუთება საბჭოს შექმნის შესახებ და საბჭოში შემავალი სადოქტორო პროგრამა/პროგრამები.

5. აკადემიური საბჭო ამტკიცებს სადისერტაციო საბჭოს დასახელებას და წევრების (მათ შორის მოწვეული) რაოდენობას, მასში შემავალი პროგრამების მიხედვით.

6. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს შექმნის მიზნით გადაწყვეტილებას იღებს აკადემიური საბჭო და ავრცელებს ინფორმაციას საბჭოს წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციისა და კონკურსის ვადების შესახებ.

7. საბჭოს წევრობის კანდიდატმა განცხადება რექტორის სახელზე და დამადასტურებელი დოკუმენტები რეგისტრაციის ვადაში უნდა წარადგინოს სტუ-ის კანცელარიაში. განცხადება რექტორის რეზოლუციით და თანდართული საბუთები გადაეცემა დოქტორანტურის დეპარტამენტს, რომელიც ფორმალური შემოწმების შემდეგ გადასცემს აკადემიურ საბჭოს, მოამზადებს კენჭისყრის ბიულეტენებს და მასალებს ფარული კენჭისყრის ჩასატარებლად.

8. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თითოეული წევრი აირჩევა აკადემიური საბჭოს მიერ ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

9. საბჭოს სრული შემადგენლობის არჩევის შემთხვევაში დოქტორანტურის დეპარტამენტი უზრუნველყოფს საბჭოს პირველი სხდომის მოწვევას არჩევნების ჩატარების დღიდან 5 დღის განმავლობაში. პირველ სხდომას ხსნის რექტორის მოადგილე, რომელიც განიხილავს საკითხს საბჭოს მიერ უფლებამოსილების ცნობის შესახებ. თავმჯდომარის არჩევამდე სხდომას უძღვება უხუცესი წევრი.

10. საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს და ამტკიცებს თავმჯდომარეს საბჭოს უფლებამოსილების ვადით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით, საბჭოს არანაკლებ ხუთი წევრის მიერ კანდიდატურის წარდგინების საფუძველზე. ერთი და იგივე პირი თავმჯდომარედ შეიძლება იქნეს ზედიზედ არჩეული არა უმეტეს ორჯერ.

11. საუნივერსიტეტო საბჭოს შექმნის ინიცირება შეიძლება მოხდეს აკადემიური საბჭოს, ფაკულტეტის საბჭოს, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის საბჭოს მიერ, პროგრამის ხელმძღვანელის მიერ, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ დასაბუთება საბჭოს შექმნის შესახებ და საბჭოში შემავალი სადოქტორო პროგრამა/პროგრამები.

12. აკადემიური საბჭო ამტკიცებს სადისერტაციო საბჭოს დასახელებას და წევრების (მათ შორის მოწვეული) რაოდენობას, მასში შემავალი პროგრამების მიხედვით.

13. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს შექმნის მიზნით გადაწყვეტილებას იღებს აკადემიური საბჭო და ავრცელებს ინფორმაციას საბჭოს წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციისა და კონკურსის ვადების შესახებ.

14. საბჭოს წევრობის კანდიდატმა განცხადება რექტორის სახელზე და დამადასტურებელი დოკუმენტები რეგისტრაციის ვადაში უნდა წარადგინოს სტუ-ის კანცელარიაში. განცხადება რექტორის რეზოლუციით და თანდართული საბუთები გადაეცემა დოქტორანტურის დეპარტამენტს, რომელიც შემოწმების შემდეგ გადასცემს აკადემიურ საბჭოს, მოამზადებს კენჭისყრის ბიულეტენებს და მასალებს ფარული კენჭისყრის ჩასატარებლად.

15. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თითოეული წევრი აირჩევა აკადემიური საბჭოს მიერ ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

16. საბჭოს სრული შემადგენლობის არჩევის შემთხვევაში დოქტორანტურის დეპარტამენტი უზრუნველყოფს საბჭოს პირველი სხდომის მოწვევას არჩევნების ჩატარების დღიდან 5 დღის განმავლობაში. პირველ სხდომას ხსნის რექტორის მოადგილე, რომელიც განიხილავს საკითხს საბჭოს მიერ უფლებამოსილების ცნობის შესახებ. თავმჯდომარის არჩევამდე სხდომას უძღვება უხუცესი წევრი.

საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს და ამტკიცებს თავმჯდომარეს საბჭოს უფლებამოსილების ვადით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით, საბჭოს არანაკლებ ხუთი წევრის მიერ კანდიდატურის წარდგინების საფუძველზე. ერთი და იგივე პირი თავმჯდომარედ შეიძლება იქნეს ზედიზედ არჩეული არა უმეტეს ორჯერ.

17. საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შწყვეტის საფუძველია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) დაკავებული აკადემიური თნამდებობიდან გათვისუფლება;

გ) სადისერტაციო საბჭოს წევრის ფუნქციების არაჯეროანი შესრულება;

დ) უნივერსიტეტის წესდებით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

18. საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შწყვეტისას, მის ნაცვლად აირჩევა ახალი წევრი საბჭოს უფლებამოსილების დარჩენილი ვადით.

19. სამშენებლო ფაკულტეტის საბჭო სრულიად ეთანხმება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოსაზრებას საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს შექმნის შესახებ.

აზრი გამოთქვას: პროფესორებმა: ლია კახიანმა, ლია ბალანჩივაძემ, ირაკლი შეყილაძემ.

მოისმინეს: ფაკულტეტის მენეჯერის პროფესორ გ. გურეშიძის ინფორმაცია №107-ე დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორის კობა ჯინჭრადის (500 სთ. ანაზღაურება 1125 ლარი) და №103-ე დეპარტამენტის მოწვეული პროფესორის მერაბ ლორთქიფანიძის (400 სთ. ანაზღაურება 1200 ლარი) ემერიტუსის კანდიდატებად წარდგენის შესახებ. მომხსენებელმა ისაუბრა კობა ჯინჭრადის, მერაბ ლორთქიფანიძის პედაგოგიური და მეცნიერული მოღვაწეობის შესახებ.

აზრი გამოთქვას: პროფესორებმა ლ.კახიანმა, ნ. მურდულიამ.

დაადგინეს: სამშენებლო ფაკულტეტის 107-ე დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორის კობა ჯინჭრადის და 103-ე დეპარტამენტის მოწვეული პროფესორის მერაბ ლორთქიფანიძის კანდიდატურებს რეკომენდაცია გაეწიოთ აკადემიურ საბჭოზე ემერიტუსის კანდიდატთა განხილვის შესახებ.

დადაგენილება მიღებულ იქნა ერთხმად.

მოისმინეს: ფაკულტეტის მენეჯერის პროფესორ გინა გურეშიძის ინფორმაცია. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამშენებლო ფაკულტეტის ბიბლიოთეკარს თამარ ბენაშვილს ჯანმრთელობის გაუარესების გამო ესაჭიროება ფინანსური დახმარება.

დაადგინეს: ბიუჯეტის დამჭირავებლის მიერ გაწეული „სოციალური დახმარების“ მუხლიდან სამშენებლო ფაკულტეტის ბიბლიოთეკარს თამარ ბენაშვილს გამოეყოს თანხა ერთი თვის ხელფასის ოდენობით.

დადგენილება მიღებულ იქნა ერთხმად.

მოისმინეს: ფაკულტეტის მენეჯერის პროფესორ გ. გურეშიძის ინფორმაცია ფაკულტეტზე მიმდინარე სარემონტო სამუშაოების შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დასრულდა აგურით ფანჯრის ქვედა ნაწილების ამოშენება, პრიალა კირქვის ფილებით

კედლების მოპირკეთება სისქით არანაკლებ 2 სმ., კოლონებზე, კარ-ფანჯრის გვერდებზე მდფ-ის ფილების მიკვრა. მომხსენებელმა ისაუბრა სასწავლო კორპუსის შემოსასვლელი ჰოლის დიზაინის შესახებ და აღნიშნა, რომ მიმდინარეობს ცენტრალური შემოსასვლელის სადემონტაჟო სამუშაოები, ელექტრო სამონტაჟო სამუშაოები, შიდა ეზოს მოწესრიგება.

აზრი გამოთქვას: ასოც. პროფესორმა: გიორგი ნადირაშვილმა, პროფესორებმა: თ. ბაციკაძემ, ლ. კახიანმა, მ. ჯავახიშვილმა, კომპიუტერული ცენტრის უფროსმა დავით სამხარაძემ.

მოისმინეს: 1. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ. ჯავახიშვილის ინფორმაცია ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „მშენებლობა“-ს მოდიფიცირების თაობაზე. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაში „მშენებლობა“ სასწავლო კურსს „სამშენებლო პროცესების ანალიზი/ პროექტს“- 5 კრედიტი - არჩევით სასწავლო კურსებად დაემატა:

1. ნაგებობების სანტექნიკური აღჭურვა/პროექტი;
2. თბური რეჟიმები ჰ/ტ მშენებლობაში/პროექტი;
3. ენერგოეფექტურობა და ენერგოდაზოგვა მშენებლობაში/ პროექტი;

ხოლო სასწავლო კურსს „ნაგებობათა ანალიზი/პროექტს“-5კრედიტი, არჩევით სასწავლო კურსებად დაემატა:

1. ბუნებრივი წყლის მიღება/პროექტი;
2. ნაპირდამცავი ჰიდროტექნიკური ნაგებობები/პროექტი;
3. შენობათა თბოაირმომარაგება და ვენტილაცია/ პროექტი.

2. გასწორდა ტექნიკური ხარვეზი სასწავლო კურსის პროგრამა (სილაბუსში) „სამშენებლო ინჟინერიის ამოცანების კომპიუტერული გაანგარიშებები“, კერძოდ:

არსებულ სილაბუსში 1 სალექციო და 1 პრაქტიკული მეცადინეობის მაგივრად წარმოდგენილი

სილაბუსი ითვალისწინებს 1 სალექციო და 1 ლაბორატორიულ მეცადინეობას.

4. ტექნიკური ხარვეზია გაპარული ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაში „მშენებლობა“,

სადაც სასწავლო კურსების ჩამონათვალში სწერია „ტექნოლოგიური პროექტების კომპიუტერული

უზრუნველყოფა“. უნდა ეწეროს „ტექნოლოგიური პროცესების კომპიუტერული უზრუნველყოფა“.

5. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაში „მშენებლობა“, მოხდა ადგილმონაცვლეობა სასწავლო კურსებს „ფუძე საძირკვლები“ და „არქიტექტურული დაგეგმარება“-ს შორის, კერძოდ:

სასწავლო კურსი „ფუძე საძირკვლები“-4 კრედიტი, რომელიც იკითხებოდა მეორე კურსის პირველ სემესტრში გადატანილ იქნა მეორე კურსის მეორე სემესტრში, ხოლო სასწავლო კურსი“ არქიტექტურული დაგეგმარება“-4 კრედიტი, რომელიც იკითხებოდა მეორე კურსის მეორე სემესტრში გადატანილ იქნა მეორე კურსის პირველ სემესტრში.

6. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაში“მშენებლობა“ შეიცვალა სასწავლო კურსის სილაბუსის „ჰიდროტექნიკური ნაგებობების სიმტკიცე და სეისმომდეგობა“ შინაარსი და შესაბამისად დაემატა ლიტერატურა.

აზრი გამოთქვს: პროფესორებმა: დ. გურგენიძემ; დ.გორგიძემ; მ. წიქარიშვილმა; ტ. კვიციანმა; ლ.კახიანმა; ლ. ბალანჩივაძემ; ა. ბაგრატიონ-დავითაშვილმა; ვ. ბალავაძემ; ზ. გვიშიანმა;

დაადგინეს: ეთხოვოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დაამტკიცოს ფაკულტეტის საბჭოზე განხილული ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „მშენებლობა“ მოდიფიცირებული სახით.

სამშენებლო ფაკულტეტის

საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი

/დ. გურგენიძე/

საბჭოს მდივანი, პროფესორი

/რ. იმედაძე /

